თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 4

ქ. თერჯოლა 28 თებერვალი 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარის მ/შემსრულებელი მანუჩარ ფანჩულიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. მანუჩარ ფანჩულიძე, 2. ნინო მახათაძე, 3. გიორგი ბარათაშვილი, 4. დავით გოგბერაშვილი, 5. რამინი რობაქიძე, 6. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. გოჩა ვერულაშვილი, 3. გრიგოლ გიორგაძე, 4. კობა კირკიტაძე, 5. როლანდი მესხი.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 6 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-2823058104, 27.02.2023 წ.).

   მომხს.: ავ.ურიადმყოფელი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282303777, 28.02.2023 წ.).

   მომხს.: ავ.ურიადმყოფელი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტოს სამსახურის უფროსმა ავთანდილ ურიადმყოფელმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილების პროექტი - ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 350.0 ათასი ლარით და შეადგენს 27557.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 350.0 ათასი ლარით. (სხვა შემოსავლები (რენტა)).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 350.0 ათასი ლარით. კომუნალური მეურნეობის განვითარება გაიზარდა 230.0 ათასი ლარით. საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება 50.0 ათასი ლარით და თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 70.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 4, წინააღმდეგი - 2

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტოს სამსახურის უფროსმა ავთანდილ ურიადმყოფელმა კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 4, წინააღმდეგი - 2

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ ინფორმაცია და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარის მ/შემსრულებელი

მანუჩარ ფანჩულიძე